საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№ 733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 29 ივლისის
№ 01-05-04/114 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ეკონომიკა
Economics

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technology and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი დემნა კვარაცხელია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Economics მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების 220 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 20 კრედიტის ათვისების შემთხვევაში, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულებისას.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS) 1 კრედიტი უდრის 25

საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (220 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (20 კრედიტი). თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი).

სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“-ში, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

სტუდენტთა პრაქტიკის მიზნებისა და შინაარსის, პრაქტიკის სახეებისა და ობიექტების, პრაქტიკის ორგანიზების, სტუ-ის და პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელების ფუნქციების, პრაქტიკის მიმდინარეობისას სტუდენტის მოვალეობების, პრაქტიკის დღიურის წარმოების, პრაქტიკის ანგარიშის შესრულების, პრაქტიკის ანგარიშის შეფასებისა და დაცვის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია „სტუ-ის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესში“, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე: **https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praqtika_18_SD.pdf**

საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის მომზადების, წინაპირობის, შინაარსის, გაფორმების, ხელმძღვანელის მოვალეობების, საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის ფორმირებისა და საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესში“, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე: **https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro_%20nashromi_%202019_SD.pdf**

პირველი სემესტრი მოიცავს 6 სასწავლო კურსს, რომელთაგანაც ორი 5 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსია, სამი 5 კრედიტიანი არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი, ერთიც 5 კრედიტიანი უცხოური ენა (სულ 30 კრედიტი).

მეორე სემესტრი მოიცავს 6 სასწავლო კურსს, რომელთაგანაც ერთი 6 კრედიტიანი, ორი 5 კრედიტიანი და ერთიც 4 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსია, ერთი 5 კრედიტიანი არასპეციალობის სავალდებულო სასწავლო კური, ერთი 5 კრედიტიანი უცხოური ენა (სულ 30 კრედიტი).

მესამე სემესტრი მოიცავს მოიცავს 6 სასწავლო კურსს, რომელთაგანაც ერთი 6 კრედიტიანი, სამი 5 კრედიტიანი და ერთი 4 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსია, ერთი 5 კრედიტიანი უცხოურ ენა (სულ 30 კრედიტი).

მეოთხე სემესტრი მოიცავს 6 სასწავლო კურსს, რომელთაგანაც ორი 6 კრედიტიანი, ერთი 5 კრედიტიანი და ორი 4 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსია, ერთი 5 კრედიტიანი უცხოური ენა (სულ 30 კრედიტი).

მეხუთე სემესტრი მოიცავს ექვს 5 კრედიტიან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს (სულ 30 კრედიტი).

მეექვსე სემესტრი მოიცავს 17 სასწავლო კურსს. სამი 5 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსია (15 კრედიტი), ხოლო თოთხმეტი 5 კრედიტიანი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსია, რომელთაგან სტუდენტი აირჩევს სამ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს (15 კრედიტი) (სულ 30 კრედიტი).

მეშვიდე სემესტრი მოიცავს სამი 5 კრედიტიან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს, მათ შორის საწარმოო პრაქტიკას (15 კრედიტი), ექვს 5 კრედიტიან არჩევით სასწავლო კურსს, რომელთაგან სტუდენტი ირჩვს ერთს (5 კრედიტი), ასევე თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი აირჩევს ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს (10) (სულ 30 კრედიტი).

მერვე სემესტრი მოიცავს 6 კრედიტიან საბაკალავრო ნაშრომს, ერთ 5 კრედიტიან და ერთ 4 კრედიტიან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს (15 კრედიტი), ხუთ 5 კრედიტიან არჩევით სასწავლო კურსს, რომელთაგან სტუდენტი ირჩვს ერთს (5 კრედიტი), ასევე თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი აირჩევს ორ 5 კრედიტიან სასწავლო კურსს (10) (სულ 30 კრედიტი).

თავისუფალ კომპონენტებს (20 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს ნებისმიერი აკრედიტებული პროგრამიდან, საგანზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

პროგრამის მიზანი

სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ეკონომიკის არსისა და მიღწევების, ეკონომიკური თეორიებისა და საბაზისო ეკონომიკური მოდელების, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პრობლემური საკითხების, კანონზომიერებების, თავისებურებებისა და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესახებ;

ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და მიღებული შედეგების კრიტიკული გააზრების უნარს.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

აღწერს ეკონომიკური თეორიისა და საბაზისო ეკონომიკური მოდელების არსს, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მიზნებსა და ამოცანებს, ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილების ისტორიულ ეტაპებს, ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებებს მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე;

განმარტავს ეკონომიკის ძირითად ცნებებს, დებულებებსა და კონცეფციებს, ეკონომიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებებს;

მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად **იყენებს** ეკონომიკური ანალიზის ადექვატურ მეთოდებს, მათ შორის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული ანალიზის მეთოდებს, ასევე საბაზისო ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს;

ახდენს ეკონომიკის ძირითადი საკითხების განსაზღვრას; ეკონომიკური პროცესების და პრობლემების იდენტიფიცირებას; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელებას ეკონომიკის სფეროში - წინასწარ განსაზღვრული მითითებების, ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

აანალიზებს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ეკონომიკური პრობლემების გამომწვევ მიზეზებს, მათი პრევენცია-აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ცალკეულ ეკონომიკურ მოვლენებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პირობებსა და ფაქტორებს, საგადასახადო სისტემების ეფექტიანობას, სამეწარმეო საქმიანობის თავისებურებებს;

არგუმენტირებულად **აყალიბებს** დასკვნებს ეკონომიკური თეორიის ძირითადი კანონზომიერებების, საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების პირობების, მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოსალოდნელი შედეგების, ეკონომიკური პროცესების მართვის თავისებურებების, ეკონომიკის სუბიექტების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების, საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ეფექტიანობის შესახებ.

ამზადებს პრეზენტაციას და მონაწილეობს ეკონომიკური იდეების, ეკონომიკაში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, თემატურ დისკუსიებში.

ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული
☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒კონსულტაცია ☒დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):
დისკუსია/დებატები;
თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
ევრისტიკული;
გონებრივი იერიში (Brain storming);
დემონსტრირება;
ინდუქცია;
დედუქცია;
ანალიზი;
სინთეზი;
ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
წერითი მუშაობა;
ახსნა-განმარტება;
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
ლაბორატორიული;
პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- **FX**-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დასაქმების სფერო

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო, აგრეთვე კერძო სექტორის ორგანიზაციებში და საქართველოში განთავსებულ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებში, მ.შ., საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროებში, სხვა სამინისტროების საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურებში, ეროვნულ ბანკში, კომერციულ ბანკებსა და სხვა საფინანსო ინსტიტუტებში, საკონსულტაციო და ანალიტიკურ დაწესებულებებში, რეგიონული და მუნიციპალური მართვის ორგანოებში, სახელმწიფო და კერძო კომპანიებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. ეკონომიკის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფილი აუდიტორიები და ეკონომიკური პროცესების მოდელირების ლაბორატორია. პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით. დამატებითი ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 76

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
	სავალდებულო სასწავლო კურსები		30	30	30	30	30	30	30	30
1	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	არ აქვს	**5**							
2	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	**5**							
3	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს	**5**							
4	ეკონომიკის საფუძვლები	არ აქვს	**5**							
5	მათემატიკა ეკონომისტებისთვის – 1	არ აქვს	**5**							
6	**უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**									
6.1	ინგლისური ენა – 1	ინგლისურ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი	**5**							
6.2	გერმანული ენა - 1	გერმანულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი								
6.3	ფრანგული ენა - 1	ფრანგულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი								
6.4	რუსული ენა - 1	რუსულ ენაში ეროვნული გამოცდის შედეგი								

7	მიკროეკონომიკა	ეკონომიკის საფუძვლები		**6**						
8	სოციოლოგია	არ აქვს		**5**						
9	გამოყენებითი ინფორმატიკა	არ აქვს		**5**						
10	ეკონომიკის ისტორია	არ აქვს		**4**						
11	მათემატიკა ეკონომისტებისთვის – 2	მათემატიკა ეკონომისტებისთვის - 1		**5**						
12	**უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**									
12.1	ინგლისური ენა– 2	ინგლისური – 1		5						
12.2	გერმანული ენა - 2	გერმანული - 1								
12.3	ფრანგული ენა - 2	ფრანგული - 1								
12.4	რუსული ენა - 2	რუსული - 1								
13	მათემატიკური სტატისტიკა	მათემატიკა ეკონომისტებისთვის -2			**5**					
14	მაკროეკონომიკა	მიკროეკონომიკა			**6**					
15	საინჟინრო-ეკონომიკური ფსიქოლოგია და ერგონომიკა	არ აქვს			**4**					
16	მენეჯმენტის საფუძვლები	არ აქვს			**5**					
17	ფინანსების საფუძვლები	ეკონომიკის საფუძვლები			**5**					
18	**უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**									
18.1	ინგლისური ენა – 3	ინგლისური – 2			5					
18.2	გერმანული ენა - 3	გერმანული - 2								
18.3	ფრანგული ენა - 3	ფრანგული - 2								
18.4	რუსული ენა - 3	რუსული - 2								
19	საერთაშორისო ეკონომიკა	მაკროეკონომიკა				**6**				
20	ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები	არ აქვს				**5**				
21	შრომის ეკონომიკა	ეკონომიკის საფუძვლები				**4**				
22	საქართველოს ეკონომიკა	მაკროეკონომიკა				**4**				
23	ეკონომეტრიკა	მათემატიკური სტატისტიკა				**6**				
24	**უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)**									
24.1	ინგლისური ენა – 4	ინგლისური – 3								
24.2	გერმანული ენა - 4	გერმანული - 3								
24.3	ფრანგული ენა - 4	ფრანგული - 3								

24.4	რუსული ენა - 4	რუსული - 3				5				
25	ინტერნეტ-ეკონომიკა	მაკროეკონომიკა					**5**			
26	ეკონომიკური პროცესების მოდელირება	მაკროეკონომიკა					**5**			
27	მეწარმეობა	მიკროეკონომიკა					**5**			
28	ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი	ეკონომიკის საფუძვლები					**5**			
29	ინვესტიციები	მაკროეკონომიკა					**5**			
30	ინოვაციური ეკონომიკა	მაკროეკონომიკა					**5**			
31	გადასახადები და დაბეგვრა	ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი						**5**		
32	უძრავი ქონების ეკონომიკა	მაკროეკონომიკა						**5**		
33	ფირმის ეკონომიკა	მეწარმეობა						**5**		
34	ციფრული ეკონომიკა	გამოყენებითი ინფორმატიკა							**5**	
35	უძრავი ქონების შეფასება	უძრავი ქონების ეკონომიკა							**5**	
36	საწარმოო პრაქტიკა	ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები, შრომის ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, ფირმის ეკონომიკა, ინვესტიციები, გადასახადები და დაბეგვრა, უძრავი ქონების ეკონომიკა, ინოვაციური ეკონომიკა.							**5**	
37	სოციალური ეკონომიკა	მაკროეკონომიკა								**4**
38	ეკონომიკური ზრდა	მაკროეკონომიკა								**5**
39	საბაკალავრო ნაშრომი	პროგრამის ყველა ძირითადი სასწავლო კურსი, გარდა მე-8 სემესტრის სასწავლო კურსებისა								**6**

40	**არჩევითი სასწავლო კურსები**							**15**	**5**	**5**
40.1	მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა	არ აქვს								
40.2	ეკონომიკური დიპლომატიის საფუძვლები	არ აქვს								
40.3	საბანკო საქმის საფუძვლები	არ აქვს								
40.4	სოციალური ევროპა	არ აქვს								
40.5	საქართველოს მიწის სამართლებრივი რეგულირება	არ აქვს								
40.6	შრომის უსაფრთხოება	არ აქვს								
40.7	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	არ აქვს								
40.8	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	არ აქვს								
40.9	მომხმარებელთა ქცევა	არ აქვს								
40.10	მარკეტინგის საფუძვლები	არ აქვს						**5**		
40.11	რეგიონული ეკონომიკა	არ აქვს								
40.12	ეთიკური ეკონომიკა	არ აქვს								
40.13	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	არ აქვს								
40.14	საერთაშორისო ვაჭრობა	არ აქვს								
40.15	ბუნების გამოყენების ეკონომიკა	არ აქვს								
40.16	მსოფლიო ეკონომიკა	არ აქვს								
40.17	ტურიზმის ეკონომიკა	არ აქვს								
40.18	კორპორაციული ფინანსები	არა აქვს							**5**	
40.19	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	არ აქვს								
40.20	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა	არ აქვს								
40.21	საზღვარგარეთის ქვეყნების ინსტიტუციური სისტემები									
40.22	ინტერნეტ-მარკეტინგის საფუძვლები	არ აქვს								
40.23	მიწის ადმინისტრირება	არ აქვს								5
40.24	მიწის კადასტრი	არ აქვს								
40.25	მიწის მარკეტინგი	არ აქვს								
41	**თავისუფალი კომპონენტები**								**10**	**10**
		სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**
		წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**	
		სულ	**240**							

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH11912G1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები	5/125	15	30					2	2	76
2	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5/125	15	30					2	2	76
3	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5/125	15	30					1	1	78
4	SOS11112G1-LS	ეკონომიკის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
5	MAS32708G1-LP	მათემატიკა ეკონომისტებისთვის – 1	5/125	15		30				1	2	77
6.1	LEH15012G3-P	ინგლისური ენა – 1	5/125			45				1	1	78
6.2	LEH14612G3-P	გერმანული ენა - 1	5/125			45				1	1	78
6.3	LEH15812G3-P	ფრანგული ენა - 1	5/125			45				1	1	78
6.4	LEH15412G3-P	რუსული ენა - 1	5/125			45				1	1	78
7	SOS10412G1-LS	მიკროეკონომიკა	6/150	30	30					2	2	86
8	SOS40212G1-LS	სოციოლოგია	5/125	15	30					1	1	78
9	ICT11608G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკა	5/125	15			30			1	2	77
10	SOS14212G2-LS	ეკონომიკის ისტორია	4/100	15	15					2	2	66
11	MAS32808G1-LP	მათემატიკა ეკონომისტებისთვის – 2	5/125	15		30				1	2	77
12.1	LEH15112G3-P	ინგლისური ენა – 2	5/125			45				1	1	78
12.2	LEH14712G3-P	გერმანული ენა - 2	5/125			45				1	1	78
12.3	LEH15912G3-P	ფრანგული ენა - 2	5/125			45				1	1	78
12.4	LEH15512G3-P	რუსული ენა - 2	5/125			45				1	1	78
13	MAS22412G1-LP	მათემატიკური სტატისტიკა	5/125	15		30				2	2	76
14	SOS10512G1-LS	მაკროეკონომიკა	6/150	30	30					2	2	86
15	SOS14812G1-LS	საინჟინრო-ეკონომიკური ფსიქოლოგია და ერგონომიკა	4/100	15	15					2	2	66
16	BUA34313G1-LS	მენეჯმენტის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
17	BUA20213G1-LS	ფინანსების საფუძვლები	5/125	15	30					1	3	76
18.1	LEH15212G3-P	ინგლისური ენა – 3	5/125			45				1	1	78

18.2	LEH14812G3-P	გერმანული ენა - 3	5/125			45				1	1	78
18.3	LEH16012G3-P	ფრანგული ენა - 3	5/125			45				1	1	78
18.4	LEH15612G3-P	რუსული ენა - 3	5/125			45				1	1	78
19	SOS10612G1-LS	საერთაშორისო ეკონომიკა	6/150	30	30					2	2	86
20	SOS14512G2-LS	ეკონომიკური ანალიზის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
21	SOS15412G1-LS	შრომის ეკონომიკა	4/100	15	15					2	2	66
22	SOS10212G1-LS	საქართველოს ეკონომიკა	4/100	15	15					2	2	66
23	SOS14412G2-LPB	ეკონომეტრიკა	6/150	30		15	15			2	2	86
24.1	LEH15312G3-P	ინგლისური ენა – 4	5/125			45				1	1	78
24.2	LEH14912G3-P	გერმანული ენა - 4	5/125			45				1	1	78
24.3	LEH16112G3-P	ფრანგული ენა - 4	5/125			45				1	1	78
24.4	LEH15712G3-P	რუსული ენა - 4	5/125			45				1	1	78
25	SOS14112G1-LS	ინტერნეტ-ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
26	SOS15512G1-LPB	ეკონომიკური პროცესების მოდელირება	5/125	15		10	20			2	2	76
27	SOS14312G2-LS	მეწარმეობა	5/125	15	30					2	2	76
28	BUA14013G1-LP	ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი	5/125	15		30				1	2	77
29	SOS13912G1-LS	ინვესტიციები	5/125	15	30					2	2	76
30	SOS14012G1-LS	ინოვაციური ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
31	BUA10813G1-LS	გადასახადები და დაბეგვრა	5/125	15	30					1	1	78
32	SOS15212G1-LS	უძრავი ქონების ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
33	SOS10112G1-LS	ფირმის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
34	SOS14612G2-LS	ციფრული ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
35	SOS15312G1-LS	უძრავი ქონების შეფასება	5/125	15	30					2	2	76
36	SOS55812G1-LS	საწარმოო პრაქტიკა	5/125					45			2	78
37	SOS10312G1-LS	სოციალური ეკონომიკა	4/100	15	15					2	2	66
38	SOS14712G2-LSK	ეკონომიკური ზრდა	5/125	15	30					2	2	76
39	SOS15112G2-K	საბაკალავრო ნაშრომი	6/150						60	2	2	86
40.1	SOS14812G2-LS	მონეტარული ეკონომიკა და პოლიტიკა	5/125	15	30					2	2	76
40.2	SOS62312G1-LS	ეკონომიკური დიპლომატიის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
40.3	BUA20313G1-LS	საბანკო საქმის საფუძვლები	5/125	15	30					1	3	76
40.4	SOS24612G1-LS	სოციალური ევროპა	5/125	15	30					2	2	76
40.5	SOS15012G1-LS	საქართველოს მიწის	5/125	15	30					2	2	76

		სამართლებრივი რეგულირება										
40.6	HHS20103G1-LSB	შრომის უსაფრთხოება	5/125	15	15		15			1	1	78
40.7	BUA42413G1-LSP	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	5/125	15	10	20				1.5	1.5	77
40.8	LAW15211G2-LSK	სამეწარმეო სამართლის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
40.9	BUA56412G1-LS	მომხმარებელთა ქცევა	5/125	15	30					2	2	76
40.10	BUA50813G1-LS	მარკეტინგის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
40.11	SOS14512G1-LS	რეგიონული ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.12	SOS13812G1-LS	ეთიკური ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.13	SOS14612G1-LS	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.14	SOS14912G2-LS	საერთაშორისო ვაჭრობა	5/125	15	30					2	2	76
40.15	SOS13712G1-LS	ბუნების გამოყენების ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.16	SOS14412G1-LS	მსოფლიო ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.17	SOS15112G1-LS	ტურიზმის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.18	SOS15012G2-LS	კორპორაციული ფინანსები	5/125	15	30					2	2	76
40.19	BUA28113G1-LS	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	5/125	15	30					2	2	76
40.20	SOS14912G1-LS	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა	5/125	15	30					2	2	76
40.21	SOS14712G1-LS	საზღვარგარეთის ქვეყნების ინსტიტუციური სისტემები	5/125	15	30					2	2	76
40.22	BUA50613G1-LS	ინტერნეტ-მარკეტინგის საფუძვლები	5/125	15	30					2	2	76
40.23	SOS13612G1-LS	მიწის ადმინისტრირება	5/125	15	30					2	2	76
40.24	SOS14212G1-LS	მიწის კადასტრი	5/125	15	30					2	2	76
40.25	SOS14312G1-LS	მიწის მარკეტინგი	5/125	15	30					2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები დემნა კვარაცხელია

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან — დავით მახვილაძე

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
04.07.2012 წელი,

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
28 ივლისი 2021 წელი,
ოქმი №64

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — ივანე ჯაგოდნიშვილი